

# ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის ეტაპები საქართველოში

ნინო პაპაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში*

*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის*

*აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო პაპაშვილი

2015 წელი

## აბსტრაქტი

**შესავალი:** საქართველოში პრივატიზაციის რეფორმა ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოყოლებული იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება. ჰოსპიტალების პრივატიზაცია რამოდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის ეტაპების დეტალური შესწავლა და ამის საფუძველზე, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შედეგების გაანალიზება. **მეთოდოლოგია:** აღნიშნული კვლევის ფარგლებში დამუშავდა ამ საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები. **შედეგები, დისკუსია:** ჰოსპიტალების პრივატიზაცია განაპირობა საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ, მოძველებულმა ინფრასტრუქტურამ, რომლის გამოსწორების სახსრები სახელმწიფოს არ გააჩნდა. ჯანდაცვის ექსპერტთა აზრით, პროვატიზაციის თითოეულ ეტაპს ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები ჯანდაცვის სისტემისთვის და მოსახლეობისთვის. **დასკვნა:** პრივატიზაციის შედეგად საავადმყოფოების დიდი ნაწილი გადაეცა კერძო სექტორს. რეფორმის შედეგად მივიღეთ თანამედროვედ აღჭურვილი საავადმყოფოები, მეტი რაოდენობით მედ-პერსონალის დასაქმება; პრივატიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს და დღესაც გრძელდება. პრივატიზაცია აყენებს რამოდენიმე ამოცანას: საზოგადოებრივი ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რაციონალური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების არსებობას. ნებისმიერი სახის მონოპოლიები (მაგ., რაიონული სადაზღვევო მონოპოლიები) წარმოადგენენ საფრთხეს ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია, პრივატიზაციისას გათვალისწინებული იქნას ჯანდაცვის დაწესებულებების მესაკუთრეობის შერეული სისტემა, სადაც მონაწილეობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფორმები (არაკომერციული, მომგებიანი, სახელმწიფო-პარტნიორული სქემები...). მიზანშეწონილია სამედიცინო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** *სამედიცინო სექტორის პრივატიზაცია, ხარისხი, ხელმისაწვდომობა, საქართველო.*

## Abstract

**Introduction:** Privatization reform dates from the 90s in Georgia and is still ongoing. Privatization of hospitals is carried out in several stages. The target of the Magister's work is a detailed study of the stages of privatization of the hospital sector in Georgia and based on this, analysis of both positive and negative outcomes. **Methodology:** The study developed the scientific literature about this question. Experts of the healthcare sector were interviewed on this issue. **Results, discussion:** The privatization of the hospitals happened due to the transition to a market economy system in Georgia. The state did not have the money to improve the outdated infrastructure. According to the experts, each phase of privatization has positive and negative outcomes for healthcare system and population. **Results:** As the result of privatization most of the hospitals were transferred to the private sector. As the result of reform the hospitals received modern equipment, a large number of medical personnel have been employed. Privatization is the process that takes place permanently and continues today. Privatization has several tasks: effective use of public funds and efficient and affordable healthcare. Monopolies of any kind (for example district insurance monopolies) are not available for health services. Privatization must be provided with a mixed system of health facilities where the owners are participating as public and private forms (non-commercial, profitable, public-partnership schemes). Support of healthy competitive environment is suitable for the medical market.

**Basic work word for search:**

**privatization of the medical sector, quality, availability, Georgia**